საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გომის მთა

გომის მთა, კლიმატური კურორტი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, მესხეთის ქედის მთისწინეთში. ზ. დ. 2000 მ, ოზურგეთიდან 14 კმ. მცენარეულობა – წიწვიანი ტყეები (კავკასიური ნაძვი, სოჭი). კლიმატი – შუამთის (ზედა სარტყელი), ზაფხული – ზომიერად გრილი (აგვ. საშ. ტემპ-რა 13°C). ზამთარი რბილი, უხვთოვლიანი (იანვრის საშ. ტემპ-რა –5°C). ნალექების საშ. წლ. რაოდენობა 1600 მმ . ჰაერის ფარდობითი ტენიანობა 75%. სუფთა და გამჭვირვალე ჰაერი გაჯერებულია წიწვის არომატით.